12/5072-12

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ

21 ივნისი 2012 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რა საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, თავდაცვისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორის ჯაბა გურგენიძის შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ –

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ქ. თბილისის შსს მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს I განყოფილების წარმოებაშია სისხლის სამართლის # 010200612003 საქმე ცალკეული პირების მიერ შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"-ს ბალანსზე რიცხული ანტენებითა და რესივერებით საარჩევნო მიზნით ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ცალკეული პირები საარჩევნო მიზნით, შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"-ს კუთვნილი ტექნიკური საშუალებების (ანტენები, რესივერები, მიმღები თავაკები) გადაცემის გზით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ახორციელებენ ამომრჩეველთა მოსყიდვას, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" სასარგებლოდ.

2012 წლის 21 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მომართა პროკურორმა ჯაბა გურგენიძემ და ითხოვა გაიცეს მოსამართლის განჩინება, რათა სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღა დაედოს შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"-ს (ს/კ 204 952275) ტელემაუწყებლობისათვის განკუთვნილ ტექნიკური საშუალებებს (ანტენებს, რესივერებს, მიმღების თავაკებს).

განიხილა რა შუამდგომლობა და გაეცნო რა წარმოდგენილ მასალებს, სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"-ს ტელემაუწყებლობისათვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებები არის ქონება, რომლებიც გამიზნულია დანაშაულის, კერძოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის ჩასადენად, რის გამოც ხსენებულ ტექნიკურ საშუალებებს უნდა დაედოს ყადაღა.

შესაბამისად, საქმის მასალების მიხედვით, იმ მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას, რომლებიც ასაბუთებენ ყადაღის გამოყენების აუცილებლობას, არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევები დაშვებული არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 20-ე, 93-94-ე, 151-154-ე, 156-158-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, თავდაცვისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორის ჯაბა გურგენიძის შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღა დაედოს შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"-ს (ს/კ 204 952275) ტელემაუწყებლობისათვის განკუთვნილ ტექნიკური საშუალებებს (ანტენებს, რესივერებს, მიმღების თავაკებს).

3. განჩინების აღსრულების უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს შს სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს.

4. განჩინება მოქმედებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე ან განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე;

5. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ერთჯერადად თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, მისი გაცემიდან ან აღსრულებიდან 48 საათის განმავლობაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე: ვაჟა ფუხაშვილი